

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს
გადაწყვეტილება №269
(ოქმი №277)

თბილისი

2014 წლის 18 აგვისტო

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 29 ივლისის №268 გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2013 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ განაცხადში ცვლილების შეტანა


“მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

1. ცვლილება შევიდეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 29 ივლისის №268 გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2013 წლის პერიოდის განხორციელებული შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის, საგადასახადო და სამართლებრივი აუდიტის (გარე აუდიტის) ჩატარების გამო დამოუკიდებელი აუდიტორის დანიშვნასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადების შესახებ განაცხადში და წინადადებების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2014 წლის 5 სექტემბრის 18.00 საათამდე, ხოლო წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე გამარჯვებულის გამოვლენა სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს მიერ განხორციელდება 2014 წლის 13 სექტემბრამდე. სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 2014 წლის 29 ივლისის №268 გადაწყვეტილებით დამტკიცებული განაცხადის სხვა დანარჩენი პირობა დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ვებ-გვერდზე და შესაბამისი ინფორმაცია გამოქვეყნდეს გაზეთ “24 საათში”.

დანართი: განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ.


სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე:

გრიგოლ გოგელია




სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრები:

გიორგი კონრეიძე




ქეთევან მსხილაძე



მარინა მუსხელიშვილი



ნათელა სახოკია



ლელა გაფრინდაშვილი



ალექსანდრე ვახტანგოვი

